საკითხავი მასალა: გადაშენებული და გადაშენების პირას მყოფი ცხოველები

ეს **ტასმანიური ვეფხვია.** ის უკვე გადაშენდა, რადგან ადამიანები მასზე ნადირობნენ. აშენებდნენ ქალაქებსა და სოფლებს და ვეფხვისთვის საცხოვრებელი ადგილი აღარ რჩებოდა.
მათ გარეშე ბუნება ისეთი ლამაზი აღარ, როგორიც იყო. ადამიანებმა კი მათ დასაცავად არაფერი გააკეთეს.



ეს დიდი ფრინველი გახლავთ **დოდო**. შეგვიძლია მისი ნახვა ეხლაც? რა თქმა უნდა, არა!
უკანასკნელი დოდო 300 წლის წინ მოკლეს. ეს ფრინველი ინდოეთის ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე ცხოვრობდა.

ფრინველებიდან დაცვა ყველაზე მეტად თუთიყუშებს სჭირდებათ. ეს ლამაზი თუთიყუში **,,ალისფერი არაა**". ამ ფრინველებს უკანონოდ იჭერენ და ყიდიან, მათ საცხოვრებელ ტყეებს ჩეხავენ. შეიძლება მალე ეს თუთიყუშიც გაქრეს.

გიგანტური კუ იშვიათობაა. ის მხოლოდ რამდენიმე კუნძულზე ბინადრობს. ტურისტები ამ ცხოველებს მოსვენებას არ აძლევენ. სავაჭრო გემებიდან ამ კუნძულზე კატები და ვირთაგვებიც მოხვდნენ, ისინი კუს კვერცხებს ჭამენ.
სანაპირო სასტუმროებიდან და ბარებიდან გამოსული ხმაური და კაშკაშა სინათლე გიგანტურ კურს მოსვენებას არ აძლევს და ის კვერცხებს აღარ ყრის!

საკითხავი მასალა: გადაშენებული და გადაშენების პირას მყოფი ცხოველები

ეს ულამაზესი კატა **იბერიული ფოცხვერია.** მისი საცხოვრებელი ადგილი განადგურდა, ბოცვრები, რომლებითაც ის იკვებებოდა, დაავადებამ დახოცა. დღეს ველურ ბუნებაში მხოლოდ 100 იბერიული ფოცხვერი ცხოვრობს.

პანდებს შველა სჭირდებათ. ისინი ბამბუკის ტყეებში ცხოვრობენ, ტყეები კი ადამიანებმა გაჩეხეს ფერმების მოსაწყობად. ბამბუკის გარეშე **პანდა**ს ცხოვრება არ შეუძლია.

მარტორქების რიცხვიც შემცირდა. მონადირეები მათ ხოცავენ, რქებს კი ყიდიან. მარტორქის რქისგან ადამიანები ხანჯლის ტარებს ამზადებენ. მარტორქას ასევე ზიანს მათ სიახლოვეს მიმდინარე ომები აყენებს.

სპილოებზე უძველესი დროიდან ნადირობდნენ. ადამიანები სპილოს ეშვებისგან სამკაულებს ამზადებენ. 30 წლის წინ ორჯერ მეტი სპილო ცხოვრობდა. სპილოს უჭირს ისეთი ადგილის მოძებნა, სადაც ადამიანის გვერდით მშვიდობიანად იცხოვრებდა.

ეს დიდი მაიმუნი **ორანგუტანგი**ა. მას დიდი საფრთხე ემუქრება. ისინი ტყეში ცხოვრობენ, პალმებს შორის. ადამიანმა ტყეები გაჩეხა, რადგან პალმის ზეთი ძვირად ფასობს.
თუ ორაგუტანგის საცხოვრებელი ტყეები დაცული იქნება, ეს მათ გადაარჩენს.

მასალა მომზადებულია http://forestry.cenn.ge/-ზე გამოქვეყნებული ტექსტების მიხედვით